



# გუშინ თბილისში საზოგადოებრივი ვითარებაში გაიხსნა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში



საქ. სსრ-ის მარქსისტ-ლენინისტული პარტიის მიერ



ალექსანდრე კობორავილის ფოტორეპორტაჟი (გუშინდელი მატჩის მახალგაზრდები იხილეთ მე-2-3 გვერდზე).


**ლელო**

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 მარტი, შაბათი, 1990 წ. № 60 (10 229) • ფასი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



გუშინ გაიმართა საქართველოს სპორტსახეობის კოლეჯის სხდომა, რომელმაც მიიღო განცხადება ფეხბურთის საქველმოქმედო ფედერაციის აღმასკომისადმი (იხ. მე-2 გვ).



## პრიზები, ეროვნულ ჩემპიონატს

● **საპაპროშენის** მე-15 ტრესტმა, სადაც ადრე სამმართველოს უფროსად მუშაობდა ქართული ფეხბურთის გამოჩენილი ვარსკვლავი, შესანიშნავი გამოთამაშებელი შ. იამანიძე, ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატზე დააწესა პრიზი საუკეთესო გამოთამაშებლისთვის და ფულადი ჯილდო 300 მანეთი. გამარჯვებულს სპეციალური ეიური გამოავლენს სეზონის ბოლოს. ტრესტის თანამშრომელთა სახელით

**3. ყიფიანი.**

● **დედაკალაძის** სპორტკომიტეტი აწესებს „ვახტანგ გორგასალის“ სახელობის პრიზს და ფულად ჯილდოს 5000 მანეთის ოდენობით.

რომელიც გადაეცემა ჩემპიონატის ყველაზე დისციპლინირებულ და კორექტულ გუნდს.

**3. კანაკვა,**  
თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

● **„ჰველაზე უმადვიან გუნდს“** — ამერიიდან ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბოლოს ამ პრიზით დაჯილდოვდება გამორჩეული გუნდი. პრიზი გაზეთმა „ვეჩერნი ტბილისმა“ გამოყვა.

● **თბილისის** კრწანისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი და ფიზკულტურის კომიტეტი აწესებენ „300 არაგველის“

სახელობის პრიზს და ფულად ჯილდოს 2 ათას მანეთს ეროვნულ ჩემპიონატში გამოვლენილ საუკეთესო მცველისთვის. პრიზი და ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა გამარჯვებულ ფეხბურთელს.

**ზ. ლელაუზვილი.**  
აღმასკომის თავმჯდომარე.

● **საპარტველოს** სახალხო ფრონტთან არსებული საქველმოქმედო საზოგადოება „სამშობლო“ ულოცავს ყველა ქართველს ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჩემპიონატი წარმოაჩენს ჩვენს საუკეთესო ეროვნულ თვისებებს.

ვაწესებთ საგანგებო პრიზს იმ გუნდისთვის, რომლისთვისაც ყველაზე მეტად დამახასიათებელი იქნება ქართული ფეხბურთის ხელწერა.

აქვე გვინდა მოვეუწოდოთ გუნდებს, რომ მათ ჰქონდეთ თავიანთი ემბლემა, ფორმა და ალაში.

**საზოგადოება „სამშობლოს“ სახელით**  
**გიორგი ადიკაუზვილი.**

პრიზებისა და ჯილდოების დაწესების მსურველთა საპურად-დედაც!

**ჰველა** ორგანიზაციამ, ვინც ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით უკვე დააწესა ან სურს დააწესოს პრიზები და ფულადი ჯილდოები, შესაბამისი განაცხადები უნდა წარადგინოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ.







